სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
190.040.000.35.148.000.236

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27

2010 წლის 3 აგვისტო

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები (დანართი №1).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №2 დადგენილება.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ხმალაძე

დანართი №1

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს (ლარებში)
I	გამგებელი	2360
II	გამგებლის მოადგილე	900
III	სამსახურის უფროსი	700
IV	გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსი	500
V	გამგებლის თანაშემწე	450
VI	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი – მთავარი სპეციალისტი	420
VII	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი – უფროსი სპეციალისტი	350
VIII	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი – სპეციალისტი	320
IX	დამხმარე მოსამსახურე	250
X	გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი-დამგეობის რწმუნებული	400
XI	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი – გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის – გამგეობის რწმუნებულის უფროსი სპეციალისტი	300
XII	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი – გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის – გამგეობის რწმუნებულის სპეციალისტი	170